საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთაწმინდა

მთაწმინდა, თბილისის ერთ-ერთი უბანი (მთაწმინდის რ-ნი). ადრე ძვ. თბილისის გარეთუბნის ერთ-ერთი მიკროუბანი იყო. სახელი მიიღო XIX ს-ში ამავე სახელწოდების მთის მიხედვით. განაშენიანება დაიწყო XIX ს. 20-30-იან წლებში. მანამდე მისი ტერიტ. საეკლ. და თბილისელთა ბაღებს ეკავა. ამ უბანს ადგილ. მოსახლეობა მ-ს ეძახდა, ოფიციალურად კი იგი, როგორც თბილ. ადმ. ნაწილი, შედიოდა ქალაქის მე-2 საპოლიცო უბანში და რუსულად ერქვა "Св. Давидовский участокъ" (Планъ г. Тифлиса съ окрестностями. г. Тифлис, 1884). 1907 რუსულად შედგენილ თბილისის გზამკვლევში დაბეჭდილ ადმ. ერთეულთა სიაში იგი ასეა მოხსენიებული: "2-й полицейский участок (Свято-Давидовский) - склон горы Св. Давида, вверх отъ Головинского проспекта".

მ-ის უბანს სამხრ-იდან ესაზღვრება სოლოლაკი, ჩრდ-იდან - ვერე, აღმ-იდან - შოთა რუსთაველის გამზ., დას-იდან - მთაწმინდის მთა.

წყარო: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწ. 1, საქმე 377; Ш а м р а е в с к и й П., Путеводитель-справочник по. г. Тифлису на 1907 г., Тфл., 1907;

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე თ., და აღმოცენდა თბილისი, თბ., 1977; И о с е л и а н и П. И., Описание древностей города Тифлиса, Тф., 1866.